ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1751364

ნომერი: AR1287362

თარიღი : 18.02.2015

გაცემის თარიღი : 25.02.2015

გაცნობის თარიღი : 25.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/585) / ქალაქი თბილისი , აღმაშენებლის ხეივანი , მუხადგვერდის გადასახ. მიმდ / ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. / ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , ნაკვ.14/606 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ალიხანაშვილი პ/ნ 01025020751
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 12 ბ. 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმ შემთხვევაში თუ საკითხის განხილვა გსურთ I კლასის კუთხით, საპროექტო კონსტრუქციის მალებს შორის მანძილი უნდა განისაზღვროს 5.0 მეტრამდე (ამ შემთხვევაში მალებს შორის მანძილი ისევ აღემატება 5.0 მეტრს და განისაზღვრება 5.075 მ.-ის სახით). ზემოაღნიშნულის შესაბამისად დააკორექტირეთ დოკუმენტაცია.

ასევე წარმოადგინეთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო კონსტრუქციის განთავსების სქემის შესაბამისი ზომების დატანით (მიეთითოს ასევე დგარებს შორის მანძილიც) და ასევე არსებულ და საპროექტო შენობებს შორის მანძილის მითითებით.

რაც შეეხება ნომენკლატურას, ნაცვლად თქვენს მიერ შერჩეული ნომენკლატურისა უნდა შეარჩიოთ: "I კლასი" - "5მ–მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა–ნაგებობა“ - "ახალი მშენებლობა". აღნიშნულის განსახორციელებლად მისამართზე www.tas.ge ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით (აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ერთხელ უკვე გეცნობათ №1748113 გადაწყვეტილებით და ფაქტიურად დოკუმენტაცია შემობრუნებულია იგივე სახით).

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.